gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli Jurnali `gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**
ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nino xarebava	Nino Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 12 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 12 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

ekonomikuri qronika / **Economic chronicles** _____5-10

auqcioni / **auction**----------11

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi —----————————————----————— 12-65

instruqcia / **Instructions** ----------66-79

Semosavlebis samsaxuris ganmarteba / **Revenue service definition** --80-83

es sainteresoa / **Interesting facts** ----------84-85

valutis kursi / **Exchange rate** _____ 86

gadasaxadebi #8-9, 2015

GADASAKHADEBI #8-9, 2015

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ECONOMIC NEWS

ტრენინგი ხაზინის თანამშრომლებისთვის

30 ოქტომბერი 2015

დასრულდა ორკვირიანი ტრენინგი, რომლის მიზანი სახელმწიფო ხაზინის მოხელეთა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS) მომზადება იყო.

ტრენინგი ევროკავშირის საჯარო ფინანსების პოლიტიკისა და მართვის რეფორმების პროექტის მხარდაჭერით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გაიმართა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტრენინგის შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრნენ ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სახაზინო სამსახურის უფროსი ცოტნე ყავლაშვილი, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის ხელმძღვანელი არნოლდ ჰოიტინკი და სპეციალურად ტრენინგისთვის მოწვეული IPSAS-ის გამოცდილი ექსპერტი ჯორჯ ბრიტანი.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისა და გაანალიზებისთვის მნიშნელოვანია ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლება.

სწავლება მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ სახელმწიფო ხაზინის სერტიფიცირებული თანამშრომლები, შემდგომ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრებს გაუზიარებენ.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ეფექტიანობის აუდიტის სამდღიანი ტრენინგი გაიხსნა

28 ოქტომბერი 2015

მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში, ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის ინიციატივითა და ევროკავშირის საჯარო ფინანსების პოლიტიკისა და მართვის რეფორმების პროექტის მხარდაჭერით ეფექტიანობის აუდიტის სამდღიანი ტრენინგი გაიხსნა.

ტრენინგის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დავით ლეჟავამ და ევროკავშირის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა, საჯარო ფინანსების მართვის ექსპერტმა, არნოლდ ჰოიტინკმა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შიდა აუდიტის ფუნქციის გაძლიერება მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულებებისათვის და წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ნაწილს.

ეფექტიანობის აუდიტის სათანადოდ დანერგვა-განხორციელება პრაქტიკაში, მნიშვნელოვნად გაზრდის საჯარო სექტორის პროდუქტიულ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

სწავლებს გაუძღვება მოწვეული ექსპერტი ნიჰად ნაკაში, რომელიც ტრენინგის მონაწილეებს განუმარტავს ეფექტიანობის აუდიტის ძირითად მიზნებსა და მიდგომებს, ასევე მოამზადებს მათ პრაქტიკული სამუშაოსთვის.

ტრენინგში მონაწილეობენ ფინანსთა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების თანამშრომლები, რომლებიც ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომლებთან და საერთაშორისო ექსპერტთან ერთად, უშუალოდ განახორციელებენ პილოტურ აუდიტორულ შემოწმებებს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს შიდა აუდიტის რეფორმაზე პასუხისმგებელ ორგანოს. ამჟამად, დაიგეგმა ეფექტიანობის აუდიტის ტრენინგი და შემდგომში უკვე მისი განხორცილება დაიწყება პილოტურ ორ სამინისტროში (ფინანსთა სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო). აღნიშნული პროექტი წარმოადგენს შიდა აუდიტის ინსტიტუტის გაძლიერებისა და კომპეტენციების გაზრდისკენ წინგადადგმულ ნაბიჯს," - აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, დავით ლეჟავამ.

ტრენინგის დასასრულს შიდა აუდიტორებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

Sam მოდულიანი სალარო აპარატი

29 სექტემბერი 2015

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 10 სექტემბრის N34112 ბძანების შესაბამისად საკონტროლო-სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში შეტანილ იქნა SAM მოდულის აქტივაციისათვის საჭირო მონაცემების მქონე "DATECS DP-25" მოდელის საკონტროლო-სალარო აპარატი.

განხორციელებული საკანონდებლო ცვლილებების გათვალისწინებით შექმნილი საკონტროლო-სალარო აპარატი „DATECS DP-25" მუშაობს SAM მოდულის აქტივაციით, რომელიც არის ISO/IEC 7810-ის სტანდარტის შესაბამისად შექმნილი და რომელსაც გააჩნია სრული ქართული მენიუ.

საკონტროლო-სალარო აპარატი „DATECS DP-25"-ის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში შპს „კასა ჯი", იგი იღებს ვალდებულებას, გაუწიოს „DATECS"-ის საკონტროლო-სალარო აპარატის მომხმარებელს საგარანტიო, ტექნიკური, სარეგისტრაციო მომსახურება და შემოსავლიბის სამსახურთან GPRS კავშირის უზრუნველყოფა.
დეტალური ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ვებ გვერდზე www.kasa.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლარის ბანკნოტების დიზაინი განახლდება

03.11.2015

2016 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის - ლარის განახლებულ ბანკნოტებს გამოუშვებს, ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ, დღეს, სასტუმრო „რუმს თბილისში“ გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა.

განახლებული 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები ეტაპობრივად გამოვა და მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად.

„ეს არის ლარის 20-წლიანი ისტორიის მანძილზე, ბანკნოტების დიზაინის პირველი მნიშვნელოვანი განახლება, ეს პროექტი აერთიანებს ფულის ნიშნების წარმოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღს, მოვლენას და ფაქტორს: პირველი, როგორც მოგეხსენებათ 2015 წელი ეროვნული ვალუტის საიუბილეო თარიღია, ეს იყო ახალი ეპოქა ფულის ისტორიაში, შესაბამისად, სიმბოლურად, დიზაინის მნიშვნელოვანი განახლებაც ამ თარიღს დავამთხვიეთ; მეორე, მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკი, პერიოდულად ავსებს ფულის ნიშნის მარაგებს, რითაც ანაცვლებს მიმოქცევაში არსებულ უკვე გაცვეთილ და დაზიანებულ ფულის ნიშნებს ახალი ბანკნოტებით. მოცემული პერიოდისთვის ეროვნულ ბანკს მარაგების შევსება უწევდა, შესაბამისად ეს იყო საუკეთესო დრო, ვინაიდან პროცესი არ მოითხოვდა დამატებით ფინანსურ რესურსს; მესამე, ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა და ტექნოლოგიური პროგრესი - თავის დროზე ლარის ბანკნოტები საკმაოდ მაღალი სტანდარტის შესაბამისი იყო და პასუხობდა საერთაშორისო მოთხოვნებს, წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ბეჭდვის პროცესი, შეიქმნა უფრო ძლიერი დამცავი ნიშნები, ახალი ტენდენციებია დიზაინის კუთხითაც - სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება გვქონოდა განახლებული დიზაინის ფულის ნიშანი, რომელიც თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო ვალუტებს შორის“, - განაცხადა პრეზენტაციაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლარის განახლებულ ბანკნოტებზე შენარჩუნებულია კარგად ნაცნობი, ლარის ბანკნოტების თავდაპირველი თემატიკა, ამავდროულად ბანკნოტებზე წარმოდგენილი ისტორიები გამრავალფეროვნებულია ცალკეული ახალი ელემენტებით. განახლებული დიზაინი კიდევ უფრო მეტი სიზუსტით და თანამედროვე იერსახით წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

ლარის განახლებულ ბანკნოტებს ახასიათებს მკვეთრად გამორჩეული ფერების სპექტრი, რომელიც ჰარმონიულად არის შეხამებული ძირითადი სიუჟეტების დომინანტურ და კონტრასტულ ფერებთან.

განახლდა ლარის ბანკნოტის ზომებიც. გამოყენებულია ნომინალების მიხედვით ბანკნოტების ზომების დიაგონალური, სიმეტრიული ზრდის პრინციპი.

ლარის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს, თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის.

ლარის განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი.

განახლებული 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტების დიზაინის ავტორი ბაჩა მალაზონიაა.

საქართველოს ეროვნულ ბანკში შემუშავებული ლარის განახლებული ბანკნოტების ესკიზების სრულყოფის პროცესში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი კომპანიები: „Giesecke & Devrient“ (გერმანია), „Oberthur Fiduciaire“ (საფრანგეთი), „De La Rue“ (ინგლისი).

5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები განახლდება მოგვიანებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 50 საბაზისო პუნქტით 7.5 პროცენტამდე ზრდის

04.11.2015

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2015 წლის 4 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზრდის შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7.5 პროცენტს შეადგენს.

მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ. მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე და ზოგადად ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე.

მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია 2016 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებლის მაღლა შენარჩუნდება, შემდეგ დაიწყებს შემცირებას და 5 პროცენტიან მიზნობრივ მაჩვენებელს 2016 წლის მეორე ნახევარში მიაღწევს. ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 5.8% შეადგინა. ინფლაციის ზრდის განმსაზღვრელი კვლავ მიწოდების მხარეს მოქმედი ფაქტორებია. კერძოდ, გაცვლითი კურსის გაუფასურებით განპირობებული წარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება და ცალკეულ იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა. ინფლაციის მაჩვენებელზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ელექტროენერგიის გადასახადის ერთჯერად მატებას. ინფლაციის ზრდას სუსტი ერთობლივი მოთხოვნა და მსოფლიო ბაზარზე გაიაფებული ნავთობისა და სურსათის ეფექტი ზღუდავს.

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მესამე კვარტალში პროგნოზირებულთან შესაბამისი იყო. წინასწარი მონაცემებით წლის დასაწყისიდან ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 2.7% შეადგინა. ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს საგარეო სექტორი წარმოადგენს, რომელიც რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე, ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა ძირითადად შიდა მოთხოვნით იყო განპირობებული. ამავე დროს შიდა მოთხოვნაზე უარყოფითად მოქმედებს ფულადი გზავნილების შემცირება და უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის უკვე ცვლილების შედეგად მომსახურების ტვირთის ზრდა.

პოზიტიური ტენდენციები გრძელდება საგარეო დისბალანსის აღმოფხვრის მხრივ. შემცირებული სავალუტო შემოდინებების ფონზე, გაცვლითი კურსის ცვლილებამ დააჩქარა იმპორტის კორექტირების პროცესი. წლის დასაწყისიდან, იმპორტის კლებამ 14 პროცენტი შეადგინა (გრანტით მიღებული C ჰეპატიტის წამლების იმპორტის გარეშე). შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებული საგარეო შოკის ეფექტი კურსზე ამოწურულია. სხვა თანაბარ პირობებში, აღნიშნული საგარეო შოკიდან კურსზე დამატებითი ზეწოლა მოსალოდნელი არ არის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილების დინამიკა დამოკიდებული იქნება მოსალოდნელი ინფლაციის დინამიკაზე, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ტენდენციებზე, გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ გარემოზე.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2015 წლის 16 დეკემბერს გაიმართება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

04.11.2015

2015 წლის 4 ნოემბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 14 250 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 13.230 პროცენტი, მაქსიმალური 13.930 პროცენტი, ხოლო საშუალო შეწონილი - 13.606 პროცენტი განისაზღვრა.

კუპონური განაკვეთი 10.750 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №23-24, 30.06.1998, გვ. 37) 33^3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტირებისას წარმოშობის სერტიფიკატს გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.“;

ბ) 1^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ოქტომბერი 2015 წ.

N4407-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28, 18.07.2007, მუხ. 275) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებულ საქონელზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური გასცემს საქონლის საქართველოში წარმოშობის დამადასტურებელ შესაბამისი ფორმის სერტიფიკატს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ოქტომბერი 2015 წ.

N4405-Iს

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ ქვეპუნქტი:

„ს) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს – „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ოქტომბერი 2015 წ.

N4368-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 433) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ოქტომბერი 2015 წ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 390) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ოქტომბერი 2015 წ.

N4376-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.06.2015, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.017771) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამტკიცებს აპარატის საშტატო ნუსხას;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ოქტომბერი 2015 წ.

N4384-Iს

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) საქართველოს ეროვნული ბანკი/საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო – ყველა სარჩელზე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

3 სექტემბერი 2015 წ.

N4196-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 82-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჯ[1]“ ქვეპუნქტი:

„ჯ[1]) მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც ნოტარიუსის დანიშვნის მომენტისათვის სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ იყო, ნოტარიუსისათვის „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ გაცემული ფინანსური დახმარება;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტმა, რომელიც ითვალისწინებს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, სანოტარო საქმიანობის განმახორციელებელი ნოტარიუსისათვის ნოტარიუსთა პალატის მიერ ფინანსური დახმარების გაწევას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კანონპროექტის მიზანია მაღალმთიან დასახლებებში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, განწესებული ნოტარიუსების საქმიანობის სტიმულირება, მათთვის ხელსაყრელი პირობებისა და საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც ნოტარიუსის დანიშვნის მომენტისათვის სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ იყო, ნოტარიუსისათვის „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, სსიპ -საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ გაცემული ფინანსური დახმარების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტი აწესებს საგადასახადო შეღავათს განსაზღვრული კატეგორიის ნოტარიუსებისათვის სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ გაცემული ფინანსური დახმარების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლების სახით, მისი გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შეადგენს შესაბამისი ფინანსური დახმარების სახით მიღებული შემოსავლის 20%-ს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღების შედეგად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებაში ან იმ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, სანოტარო საქმიანობის განმახორციელებელი ნოტარიუსების მიერ, ნოტარიუსთა პალატისაგან მიღებული ფინანსური დახმარება გათავისუფლებული იქნება საშემოსავლო გადასახადისაგან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ზ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

ზ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

ზ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ზ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტით გათვალისწინებულ საკითხზე გავლილია კონსულტაციები ნოტარიუსთა პალატასთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

საგადასახადო კოდექსის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 82. გადასახადისაგან გათავისუფლება

1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;

ბ) მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;

ბ [1]) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სარგებელი ;

ბ[2]) მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიღებული სარგებელი;

გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;

დ) ალიმენტი;

ე) განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

ვ) ფიზიკური პირის მიერ:

ვ.ა) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.ბ) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.გ) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით;

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლ) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

მ) პრივატიზების წესით (მათ შორის, უსასყიდლოდ) ქონების მიღების შედეგად, აგრეთვე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში ბინების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი; *(გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

ნ) დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის, იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები; ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

ო) ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის/მჩუქებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

პ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

ჟ) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

რ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;

ს) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

ტ) სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის, აგრეთვე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სია განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

უ) სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის, აგრეთვე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი და საქართველოს ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სია განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ფ) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ქ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურისათვის ან სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე მისი დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;

ღ) ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;

ყ) ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავალი, თუ ამხანაგობის წევრები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დამატებული ღირებულების გადასახადი ს გადამხდელი. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წევრის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ განიხილება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად;

შ) არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა და შემოსავლის (ხელფასის) გადამხდელი არის არარეზიდენტი დამქირავებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ხარჯი მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გადახდილი თუ არა;

ჩ) საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი ;

ც) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

ძ) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული შემოსავლისა ;

წ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული პირის (რომელიც იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული პირის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება;

ჭ) ადმინისტრაციული ორგანოს (დამქირავებლის) მიერ თანამშრომლისთვის (დაქირავებულისთვის) უძრავი ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით მიღებული სარგებელი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჭ[1]) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანამშრომლისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილისათვის განკუთვნილი საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი;

ხ) ამ კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის უსასყიდლო მომსახურების გამწევის მიერ ამ მომსახურებიდან მისაღები კომპენსაცია და უსასყიდლო მომსახურების მიმღების მიერ მიღებული სარგებელი;

ჯ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევის შედეგად სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი;

ჰ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული შემოსავალი;

ჰ[1]) ფიზიკური პირის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში მყოფი პირისაგან დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი.

ჰ[2]) საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად ჩამორთმეული საკუთრების სანაცვლო ანაზღაურება;

[ჰ[3]) მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით მიღებული შემოსავალი – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით). (ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)]

2. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

ა) შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ა.ა) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;

ა.ბ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;

ა.გ) მარტოხელა დედის;

ა.დ) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ა.ე) პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;

ა.ვ) მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი *უმცირდება 50 პროცენტით;*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

[ა.ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 50 პროცენტით უმცირდება; (ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)]

ბ) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე;

[გ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა. (ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)]

3. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოექმნება ერთზე მეტი საგადასახადო შეღავათის უფლება, მასზე გავრცელდება მათგან ერთი, უმაღლესი შეღავათი.

4. ამ მუხლის მიზნებისათვის:

ა) აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება:

ა.ა) მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღიდან; მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებრივად ერთ საგნად რეგისტრირებული აქტივის გაყოფის შემთხვევაში მიღებული აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება გაყოფამდე არსებული აქტივის საკუთრებაში ფლობის თარიღიდან;

ა.ბ) თუ არ ხდება საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია, – საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან;

ბ) აქტივის „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც:

ბ.ა) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის;

ბ.ბ) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და უსასყიდლოდ მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის, თუ აქტივზე საკუთრების უფლება უსასყიდლოდ იყო მიღებული.

გ) ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას I, II, III და IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები:

გ.ა) I რიგის მემკვიდრეებად – მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და მისი შვილი, მშობელი და მშვილებელი;

გ.ბ) II რიგის მემკვიდრეებად – და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები;

გ.გ) III რიგის მემკვიდრეებად – ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან;

გ.დ) IV რიგის მემკვიდრეებად – ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა და მამიდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო წლის მიხედვით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებული პირი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარუდგინოს დამქირავებელს შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა. ერთზე მეტი სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში გადახდის წყაროს, სადაც უნდა გავრცელდეს შეღავათი, განსაზღვრავს დაქირავებული პირი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №285

2015 წლის 1 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების

შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის

2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 –მე-7 პუნქტები:

„5. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად, დადგენილია დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად ჩაითვლება ამ ოდენობაზე მეტი დანაკარგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებულ საქონელზე, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ არ არის დადგენილი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად ჩაითვლება „ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ“ 1951 წლის 1 ნოემბრის შეთანხმების 24-ე მუხლის პირველი პარაგრაფით შესაბამისი საქონლისათვის გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი დანაკარგი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №286

2015 წლის 1 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის 92-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის პირს საგადასახადო ორგანოს წერილობითი შეტყობინებით ეძლევა 45 კალენდარული დღის ვადა საგადასახადო დავალიანების დასაფარად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ამ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება) მიიღება გადაწყვეტილება „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის გაუქმების შესახებ.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №287

2015 წლის 1 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს №247 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს №247 ბრძანებაში (ვებგვერდი, 21.08.2014 წ., 230210000.22.033.016671) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3.

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოსავლების სამსახურმა უზრუნველყოს „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მინიჭება იმ პირისათვის, რომელსაც ამ ბრძანების ამოქმედებამდე „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი გაუუქმდა საგადასახადო დავალიანების არსებობის საფუძველზე, თუ არ არსებობს „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის გაუქმების სხვა საფუძველი და ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღისათვის პირი აკმაყოფილებს ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) არ აქვს საგადასახადო დავალიანება;

ბ) აქვს მხოლოდ არაღიარებული საგადასახადო დავალიანება;

გ) აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანება, რომელსაც დაფარავს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

დ) აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანება, რომელზეც არსებობს გადახდევინების გადავადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №304

2015 წლის 25 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25.05.2011 წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინარსის „ი[2]“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ი[2]. უზრუნველყოფს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებას.“.

2. 17[2] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1] “ პუნქტი:

„თ[1]. უზრუნველყოფს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №323

2015 წლის 9 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის

დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის

2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25.05.2011 წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192)

დამტკიცებული დებულების:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. მე-17 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$ “, „$დ^2$ “ და „$დ^3$ “ ქვეპუნქტები:

„$დ^1$) კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული საბაჟო ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამის ადრესატამდე დაყვანა, ასევე კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებთან საბაჟო ინფორმაციის გადამოწმება და მიღებული მონაცემების ანალიზი შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

$დ^2$) საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან ან/და დეკლარირებულ საქონელთან დაკავშირებით გამოსაყენებელი რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის მუშაობის ორგანიზება, მონიტორინგი და ანალიზი;

$დ^3$) „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად კანდიდატის განცხადების განხილვა-ანალიზი, „ოქროს სიის“ შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი;“.

2. 17^2 მუხლის „ლ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებლი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №332

2015 წლის 19 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის:

1. მე-4 პუნქტის:

ა) „გ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე – „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის” დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილებით განსაზღვრული EX/II, EX/III, FL, OX და AT ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვისას. ასეთი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში – ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს დაშვების მოწმობისათვის საქართველოს კანონმდებლობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი წესებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მონაცემებს;“;

ბ) „გ.დ“ და „გ.ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„გ.ე) შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა ან ლიცენზიის/ნებართვის სათანადო წესით დამოწმებული ასლი ან უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან კანონით და მინიჭებული აქვს ისეთივე სამართლებრივი სტატუსი, როგორიც აქვს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემულ ლიცენზიას/ნებართვას.”.

2. მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1 . ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოსვლისას, ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტი:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას – საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი საქართველოს საბაჟო საზღვარზე სატრანსპორტო საშუალების გადამაადგილებელ პირს განუსაზღვრავს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის) 3 სამუშაო დღის ვადას. განსაზღვრულ ვადაში ნაკლოვანებათა აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება უკან დაბრუნებას;

ბ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი, საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვისას – საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი საქართველოს საბაჟო საზღვარზე სატრანსპორტო საშუალების გადამაადგილებელ პირს განუსაზღვრავს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის) 3 სამუშაო დღის ვადას. განსაზღვრულ ვადაში ნაკლოვანებათა აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებას არ ეძლევა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილების უფლება, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი, მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევისათვის ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება უკან დაბრუნებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 20 ოქტომბრიდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №334

2015 წლის 20 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის 4^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^1 . საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახის სამშენებლო ზონის“ გავლით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შეიძლება შემოტანილ იქნეს მხოლოდ „საქართველოში „ბაქო-თბილისი-ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის „ახალქალაქი-ყარსის“ მონაკვეთზე დაგეგმილი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული საქართველოში „ბაქო-თბილისი-ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის „ახალქალაქი-ყარსის“ მონაკვეთზე დაგეგმილი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობისათვის განკუთვნილი საქონელი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 20 ოქტომბრიდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №347

2015 წლის 28 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინერით) გადაადგილებული სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3 -ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის დანიშნულების ადგილზე წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ მიტანის ვადის გასვლამდე განხორციელდა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრაცია.“.

2. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3 -ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სპეციალისტის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმების საფუძველზე შედგენილი „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტი (ფორმა 2)“ – მხოლოდ იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის, საწყობის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ან დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციების გამოყენებისას (გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევებისა);“.

3. 37-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ერთი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს მხოლოდ ერთი სასაქონლო პარტია, ხოლო სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ3 -ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – მხოლოდ ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალება, გარდა ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1 . სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ3 -ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, საწყობის სასაქონლო ოპერაციაში ერთი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს ერთი სასაქონლო პარტია – ერთი ან რამდენიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება, გაგზავნილი ერთი მიმღების მისამართით, ერთი სახეობის ტრანსპორტით, წარდგენილი გაფორმებისათვის ერთდროულად ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებებისა და გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობისა.“.

4. 43-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საწყობის სასაქონლო ოპერაციაში ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს ერთი სასაქონლო პარტია – ერთი ან რამდენიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება, გაგზავნილი ერთი მიმღების მისამართით, ერთი სახეობის ტრანსპორტით, წარდგენილი გაფორმებისათვის ერთდროულად ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებებისა და გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობისა. იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო პარტიაში მოთავსებულია ერთზე მეტი დასახელების საქონელი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემები (მანქანის მარკა, მოდელი, VIN კოდი, შასის ნომერი, გამოშვების წელი, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის №) მიეთითება ცალკე ფურცელზე, რომელიც თან დაერთვის დეკლარაციას.“.

5. 51-ე მუხლის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3 - ზე მეტი, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, იმპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს სააგენტოს, რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)“;

ბ) მე-5 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

6. 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3 - ზე მეტი, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, გაფორმების ადგილზე წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს სააგენტოს, რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)“.“.

7. 61-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3 - ზე მეტი, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, საწყობის საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს სააგენტოს, რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)“.“;

ბ) მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

8. 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ3 -ზე მეტია) ან 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებში აღწერილი და კლასიფიცირებული სატრანსპორტო საშუალება, საქონლის მესაკუთრის მიერ დროებით (არაუმეტეს 48 საათისა) გატანილ იქნეს საწყობიდან. ამასთან, საქონლის დროებით გატანა ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის შესაბამისად გამოწერილი ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

9. 73-ე მუხლის:

ა) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სააგენტოში საკუთრების უფლების გადაცემაზე გარიგების დოკუმენტის არსებობის დადასტურებისა ან/და საექსპერტო შემოწმების მიზნით წარდგენილი ან/და დროებით დასაწყობებული, სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ3 - ზე მეტია) და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების რეექსპორტი ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოყენებით.

7. სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3 - ზე მეტი, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, გაფორმების ადგილზე წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს სააგენტოს, რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)“.“;

ბ) მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) რომლებსაც წინმსწრები სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება, გარდა დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის რეექსპორტისა;”; გ) მე-8 პუნქტის გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

10. 83-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 83. დროებითი შემოტანის დეკლარირება

1. დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის დეკლარირება შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით;

ბ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით;

დ) იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის დროებითი შემოტანისას:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ.ა) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით – ფიზიკური პირის ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებისას;

დ.ბ) მოწმობის გაცემით – უცხო ქვეყნის მოქალაქის/რეზიდენტის მიერ საქონლის ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანისას.

2. სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3 - ზე მეტი, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს სააგენტოს, რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)“.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ ვრცელდება იმ სატრანსპორტო საშუალებებზე:

ა) რომელიც შემოყვანილია იურიდიული პირის მიერ და რომელიც რეგისტრირებული არ ყოფილა;

ბ) რომელსაც წინმსწრები სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას სააგენტოს სპეციალისტის მიერ უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება.“.

11. 87-ე მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1 . იმ შემთხვევაში, როდესაც დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით და დეკლარანტი შესაბამისი თხოვნით მიმართავს სააგენტოს, „დროებით შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის განრიგს“ ავსებს სააგენტო.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №350

2015 წლის 30 ოქტომბერი, ქ. თბილისი

,,ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ”

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში

ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამოღებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველები:

,666	4306	ა(ა)იპ – საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი
667	4307	ა(ა)იპ – შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველი – 4178 – ა(ა)იპ – „საცურაო აუზი გლდანი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,538	4178	ა(ა)იპ – ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“;

გ) დამატებულ იქნეს ბიუჯეტის შედეგი განმკარგველები:

,,339	0951	ა(ა)იპ – საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „ცხინვალი“
340	0952	ა(ა)იპ – ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი ,,ნართები“
689	4329	ა(ა)იპ – ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრი“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. დანართ №3-ში (ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და სახაზინო კოდი – 7520-ის („ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო“) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდები:

„შემოსავალი ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის საკომპენსაციო საფასურიდან	7521
შემოსავალი ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობზე ფულადი კომპენსაციიდან	7522.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებლი

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №39106

2015 წლის 21 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ) საჰაერო გზით შემოტანილი/გასატანი ბარგის მიზანმიმართული დათვალიერებისას, როდესაც სკანირების შედეგების ამსახველი სურათის ან სამართალდამცავი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ადგილი აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას ან ასეთი დარღვევის მცდელობას.“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორი

დოკუმენტის კოდი ASYCUDA-**ში**	**დოკუმენტის დასახელება**
001	საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა
002	ხელშეკრულება
003	შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი)
004	სატრანსპორტო ზედნადები
005	კონოსამენტი
006	მანიფესტი
007	TIR-წიგნაკი
008	ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა, ხელშეკრულება ან მისი შემცვლელი დოკუმენტი წარმომადგენლის უფლებამოსილების შესახებ
009	დაკვირვების ელექტრონული საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია
010	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა
011	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა
012	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა
013	შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
014	რადიოაქტიური მასალების, ნედლეულის, რომლებიდანაც შესაძლებელია ბირთვული მასალის მიღება ან წარმოება, დანადგარების, რომლებიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუს იმპორტი, ექსპორტი, აგრეთვე რადიოაქტიური წყაროების ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის ნებართვა
015	„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

016	სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
017	უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანისა და საქართველოში გადაადგილების ნებართვა
018	საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა
019	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის ნებართვა
071	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ნებართვა
072	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა
073	სამხედრო პროდუქციის იმპორტის ნებართვა
074	სამხედრო პროდუქციის ექსპორტის ნებართვა
075	სამხედრო პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა
076	უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვა
077	უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვა
078	შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა
020	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა
021	არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა
022	საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა
023	დსთ-ის ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლის რეექსპორტის ნებართვა (შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული)
025	შემოსავლების სამსახურის წერილობითი დასკვნა საქონლისათვის ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების შესახებ
026	შემოსავლების სამსახურის წერილობითი დასკვნა საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ
027	საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი
028	იოდირებული მარილისა და სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების შესაბამისობის სერტიფიკატი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

030	ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი
031	ვეტერინარული სერტიფიკატი
032	საბაჟო ღირებულების გამარტივებული დეკლარაცია
034	იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
035	საწყობის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
036	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
037	შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
039	სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (სსაფ) – ნავთობპროდუქტების იმპორტის დროს
040	საქონლის სპეციფიკაცია
041	საბანკო გარანტია
042	ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი
043	სახელმწიფო ხაზინის ცნობა სახელმწიფო ხაზინაში გარანტიის სახით სათანადო თანხის (დეპოზიტის) შეტანის თაობაზე
045	საქონლის დროებითი შენახვის განაცხადი
046	სამკურნალო საშუალებების აღნუსხვის ფორმა
047	იმპორტის გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
049	შეფუთვის ფურცელი
050	ექსპერტიზის აქტი
051	საქონლის დათვალიერების აქტი
052	საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი)
053	ჯარიმის გადახდის დოკუმენტი
054	სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ
055	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი
056	წერილი
057	განცხადება
058	ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი
062	ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
063	გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
064	ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
165	რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
166	თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

065	ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია
067	საფოსტო გზავნილის დეკლარაცია CN 22
068	საფოსტო გზავნილის დეკლარაცია CN 23
069	გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია
070	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი
200	ავტომანქანის სახელმწიფო N
201	რკინიგზის ვაგონი, N
202	თვითმფრინავი, რეისი N
203	გემი, რეისი N
204	კონტეინერი, N
210	წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის N: A-
300	ავტომანქანის მარკა
330	მედიკამენტის დასახელება
333	სიგარეტების დასახელება და რაოდენობა, კოლოფი
340	აქციზური მარკების ნომრები
341	საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი
342	საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე საგადასახადო ორგანოს ბრძანება
345	აწონვის ქვითარი
420	საგადასახადო ორგანოს მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალება (ნიშანი)
421	დეკლარანტის (წარმომადგენლის), არასაგადასახადო ორგანოს ან სხვა პირის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალება (ნიშანი)
444	დამატებითი ინფორმაცია საქონელზე
445	წინასწარი გადაწყვეტილება
446	სასაქონლო ზედნადები
447	სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე მძღოლის სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტი
449	ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე – „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილებით განსაზღვრული EX/II, EX/III, FL, OX და AT ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვისას. ასეთი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში – ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს დაშვების მოწმობისათვის საქართველოს კანონმდებლობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი წესებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მონაცემებს
450	ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის დამადატურებელი დოკუმენტი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

451	შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა ან ლიცენზიის/ნებართვის სათანადო წესით დამოწმებული ასლი ან უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან კანონით და მინიჭებული აქვს ისეთივე სამართლებრივი სტატუსი, როგორიც აქვს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემულ ლიცენზიას/ნებართვას
452	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 2713 20 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციით გათვალისწინებულ ნავთობის ბიტუმზე – ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი
456	ექსპორტისათვის განკუთვნილ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტი
457	რეექსპორტისათვის განკუთვნილ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტი
460	გირავნობის გარიგება
461	დამგირავებლის თანხმობა დაგირავებული საქონლის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემაზე
462	სააღსრულებო ფურცელი
463	სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული გირავნობის მოწმობა
464	შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის ან შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი
465	ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები
466	საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნაღდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებზე ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე (რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) – წარმომავლობისა და მიზნობრიობის დამადასტურებელი დოკუმენტი
467	რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა.

“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი
გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №38072

2015 **წლის** 13 **ოქტომბერი**

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12):

ა.ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“, „$დ^2$“ და „$დ^3$“ ქვეპუნქტები:

„$დ^1$) კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული საბაჟო ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამის ადრესატამდე დაყვანა, ასევე კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებთან საბაჟო ინფორმაციის გადამოწმება და მიღებული მონაცემების ანალიზი შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

$დ^2$) საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან ან/და დეკლარირებულ საქონელთან დაკავშირებით გამოსაყენებელი რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის მუშაობის ორგანიზება, მონიტორინგი და ანალიზი;

$დ^3$) „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად კანდიდატის განცხადების განხილვა-ანალიზი, „ოქროს სიის“ შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი;“;

ა.ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ბ^1$“ ქვეპუნქტი:

„$ბ^1$) საბაჟო რისკების მართვის სამმართველო;“;

ა.გ) მე-9 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 მუხლი:

„მუხლი 9^1. საბაჟო რისკების მართვის სამმართველო

საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) საბაჟო კონტროლის, საქონლის გაფორმების ან/და გაშვების შემდგომი შემოწმების დროს გამოსაყენებელი რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის მუშაობის ორგანიზება, მის საფუძველზე საბაჟო კონტროლის ღონისძიებების შემუშავება, მათი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელისაგან და სხვა დაინტერესებული პირისაგან გადამხდელის ან/და დეკლარირებული საქონლის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი, გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა, სისტემაში რისკების მართვის შესაბამისი ელემენტების ინტეგრირება და მონიტორინგი;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან და სხვა საშუალებით მიღებული ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამის ადრესატამდე დაყვანა;

დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დეკლარირებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის განხორციელებისას მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „ASYCUDA“-ს მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემის და სხვა ხელმისაწვდომი ბაზების მუშაობის მონიტორინგი. მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“-ში რისკის პროფილების და შემთხვევითი შერჩევის პარამეტრების ინტეგრირება. არსებული რისკის პროფილების და შემთხვევითი შერჩევის პარამეტრების შეცვლა ან გაუქმება;

ე) „ოქროს სიის“ მონაწილეთა საქონლის გაშვებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებისას რისკების მართვის სისტემის გამოყენების კოორდინაცია;

ვ) საინფორმაციო ბაზების, საგადასახადო სტატისტიკის მონაცემების, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე არსებული, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენებით მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რისკის ფაქტორების გამოვლენა და რისკების მართვის თაობაზე წინადადებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ზ) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან და საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურებისას საქონლის მესაკუთრის ან/და მფლობელის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტაციის შერჩევა, ანალიზი და ამ დოკუმენტაციის გადამოწმება საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მექანიზმების გამოყენებით, გადამოწმების შედეგებზე შესაბამისი რეაგირება;

თ) „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად კანდიდატის განცხადების განხილვა-ანალიზი, „ოქროს სიის“ შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ინფორმაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა შემდგომი რეაგირების მიზნით;

კ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებებისა და პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებთან ექსპორტ-იმპორტის ინფორმაციის გადამოწმება და მიღებული მონაცემების ანალიზი შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად;

მ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

ნ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.“;

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №14):

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ა) მე-5 მუხლის:

ბ.ა.ა) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული საგადასახადო ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამის ადრესატამდე დაყვანა, ასევე კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებთან ინფორმაციის გადამოწმება და მიღებული მონაცემების ანალიზი შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;“;

ბ.ა.ბ) „ლ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.გ) მე-9 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი
გ. თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №33218

2015 **წლის** 3 **სექტემბერი, ქ. თბილისი**

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა.ა) მე-2 მუხლის 23-ე პუნქტის „ბ.გ.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.გ.ე) „XRS05“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სარკინიგზო სკანერის შემთხვევაში;“;

ა.ბ) მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 7^1 მუხლი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მუხლი 7[1]. რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის გრაფების შევსების წესი

1. გრაფა „რეგისტრაციის ნომერი“ – ივსება სისტემის მიერ ავტომატურად, გამგზავნ საგადასახადო ორგანოში რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის რეგისტრაციისას.

2. გრაფა „ვაგონის ნომერი“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მიეთითება სარკინიგზო ვაგონის ნომერი.

3. გრაფა „უწყისის ნომერი“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მიეთითება სარკინიგზო უწყისის (ზედდებულის) ნომერი.

4. გრაფა „გამგზავნი საგადასახადო ორგანო“ – მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

5. გრაფა „დანიშნულების საგადასახადო ორგანო“ – მიეთითება დანიშნულების საგადასახადო ორგანოს კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

6. გრაფა „სასაქონლო ოპერაცია“ – ივსება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოწმობის მე-4 გრაფის შევსების წესის შესაბამისად.

7. გრაფა „გამგზავნის დასახელება“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული მონაცემებით და გრაფაში მიეთითება საქონლის გამგზავნის/ექსპორტიორის სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და მისამართი. თუ გამგზავნი ერთზე მეტია, გრაფაში აღინიშნება „სხვადასხვა“ და შემდეგ – თითოეული გამგზავნის/ექსპორტიორის შესახებ ინფორმაცია – გადასახადის გადამხდელის სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი) და მისამართი.

8. გრაფა „გამგზავნის ს/ნ“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული მონაცემით და მიეთითება საქონლის გამგზავნის/ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო ნომერი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი.

9. გრაფა „მიმღების დასახელება“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული მონაცემებით. გრაფაში მიეთითება საქონლის მიმღების სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და მისამართი. თუ მიმღები ერთზე მეტია, გრაფაში აღინიშნება „სხვადასხვა“ და შემდეგ – თითოეული მიმღების შესახებ ინფორმაცია – გადასახადის გადამხდელის სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და მისამართი.

10. გრაფა „მიმღების ს/ნ“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული მონაცემით. გრაფაში მიეთითება საქონლის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი.

11. გრაფა „გამომგზავნი ქვეყანა“ – გრაფის პირველ ნაწილში სისტემაში ინტეგრირებული მზა მონაცემებიდან მიეთითება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხოლო გრაფის მეორე ნაწილი ივსება სისტემის მიერ ავტომატურად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

12. გრაფა „დანიშნულების ქვეყანა“ – გრაფის პირველ ნაწილში, კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად სისტემაში ინტეგრირებული მზა მონაცემებიდან მიეთითება იმ ქვეყნის დასახელება, სადაც სატრანსპორტო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ინფორმაციით დასრულდება საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა (რამდენიმე დანიშნულების ქვეყნის არსებობის შემთხვევაში – მიეთითება პირველი ქვეყნის დასახელება), ხოლო გრაფის მეორე ნაწილი ივსება სისტემის მიერ.

13. გრაფა „ტვირთის დასახელება“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან რუსულ ენაზე მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც გრაფის შევსებისას რედაქტირდება ქართულ ენაზე. გრაფაში მიეთითება საქონლის დასახელება და სხვა მონაცემები, რაც იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას.

14. გრაფა „ტვირთის კოდი“ – ივსება სისტემის მიერ, რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში რედაქტირდება. გრაფაში მიეთითება საქონლის კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად:

ა) ორნიშნა დონეზე, ამასთან, შესაბამისი ჯგუფის ორნიშნა რიცხვის მითითების შემდეგ აღინიშნება „00“;

ბ) ოთხნიშნა დონეზე – იმ საქონელზე, რომლის შემოტანას/გატანას ესაჭიროება ლიცენზია/ნებართვა/სერტიფიკატი, ასევე მსუბუქი ავტომანქანის შემთხვევაში;

გ) რვანიშნა დონეზე – აქციზური საქონლის (გარდა მსუბუქი ავტომანქანისა), აგრეთვე ნავთობის მსუბუქი, საშუალო, მძიმე დისტილატების შემთხვევაში.

დ) ხუთზე მეტი დასახელების საქონლის მითითების აუცილებლობისას, მიეთითება 5 საქონლის კოდი.

15. გრაფა „ტვირთის რაოდენობა“ – მიეთითება სატვირთო ადგილების რაოდენობა და შეფუთვის სახე.

16. გრაფა „ბრუტო“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული საქონლის ბრუტო წონით.

17. გრაფა „ნეტო“ – მიეთითება საქონლის ნეტო წონა კილოგრამებში სატრანსპორტო დოკუმენტაციის მიხედვით (სატრანსპორტო დოკუმენტაციაში ნეტო წონის შესახებ სხვადასხვა მონაცემის არსებობის შემთხვევაში გრაფაში მიეთითება უმცირესი მონაცემი), რომელიც მოიცავს საქონლის წონას ყველა სახის შეფუთვის გარეშე.

18. გრაფა „დეკლარაციის ნომერი“ – ივსება წინასწარი დეკლარირების შემთხვევაში. როდესაც დეკლარაციას განესაზღვრება მწვანე ან ლურჯი დერეფანი, გრაფაში მიეთითება: „დეკლარაციის შეფასების ნომერი/A“, ხოლო ყვითელი ან წითელი დერეფნის შემთხვევაში – „დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერი/C“.

19. გრაფა „კონტეინერის სუფიქსი და ნომერი“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მიეთითება – კონტეინერის სუფიქსი და ნომერი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

20. გრაფა „კონტროლის შედეგი“ – მიეთითება:

ა) A1 – როცა სასაზღვრო საგადასახადო ორგანოში განხორციელებული სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი დამაკმაყოფილებელია;

ბ) A3 – როცა სასაზღვრო საგადასახადო ორგანოში განხორციელებული სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი არადამაკმაყოფილებელია და საქონელი ექვემდებარება დათვალიერებას;

გ) B – როცა სკანირების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი დამაკმაყოფილებელია;

დ) C – როცა სკანირების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი არადამაკმაყოფილებელია და საქონელი ექვემდებარება დათვალიერებას.

21. გრაფა „საბაჟო ლუქები“:

ა) პირველ განყოფილებაში მიეთითება შემდეგი კოდირებული მონაცემები:

ა.ა) 0 – თუ არ არის საჭირო ლუქების დადება;

ა.ბ) 1 – როდესაც სარკინიგზო ზედნადებში არ არის მითითებული ლუქების შესახებ ინფორმაცია;

ა.გ) 2 – როდესაც სარკინიგზო ზედნადებში მითითებულია ლუქების შესახებ ინფორმაცია;

ა.დ) 3 – თუ გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე უკვე დადებულია ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ არ ხდება სატრანსპორტო საშუალების გადალუქვა;

ა.ე) 4 – თუ გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე არ არის დადებული ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ ხდება სატრანსპორტო საშუალების დალუქვა;

ა.ვ) 5 – თუ გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე დადებულია ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ხდება სატრანსპორტო საშუალების დამატებით დალუქვა;

ბ) მეორე განყოფილება ივსება პირველ განყოფილებაში კოდირებული მონაცემებიდან „4“-ის ან „5“-ის მითითების შემთხვევაში და მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ დადებული ლუქების რაოდენობა (ციფრებით) და მძიმის შემდეგ მიეთითება ლუქის ნომერი (რამდენიმე ლუქის შემთხვევაში – პირველი და ბოლო ნომერი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით).

22. გრაფა „დოკუმენტის ტიპი“ – მიეთითება საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტების კოდები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად. საქონლის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის დანიშნულებით გადაადგილებისას მიეთითება:

ა) „XRS01“ – გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“ (სოფ. ადლია) კონტროლის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „XRS02“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

გ) „XRS03“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ კონტროლის ზონაში განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

დ) „XRS04“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სარკინიგზო სკანერის შემთხვევაში;

ე) „XRS05“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სარკინიგზო სკანერის შემთხვევაში;

ვ) „XRS06“ – მობილური სკანერის (ZBV) შემთხვევაში;

ზ) „XRS07“ – მობილური სკანერის (1213) შემთხვევაში;

თ) „XRS08“ – მობილური სკანერის (EAGLE M60) შემთხვევაში.

23. გრაფა „დოკუმენტის ნომერი“ მიეთითება:

ა) წარდგენილი დოკუმენტის ინდივიდუალური ნომერი;

ბ) სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

24. გრაფა „დამატებითი ინფორმაცია გამგზავნი საგადასახადო ორგანო“ – გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება ინფორმაცია, რომელიც სტანდარტულ გრაფებში ვერ მოხვდა და მისი მითითება აუცილებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად. სატრანსპორტო საშუალების გამგზავნ საგადასახადო ორგანოში აწონვის შემთხვევაში მიეთითება წონა ციფრებით კგ-ში.

25. გრაფა „დამატებითი ინფორმაცია დანიშნულების საგადასახადო ორგანო“ – დანიშნულების საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება:

ა) ინფორმაცია, რომელიც სტანდარტულ გრაფებში ვერ მოხვდა და მისი შეტანა აუცილებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად;

ბ) A1 – როცა სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერების შედეგად დასტურდება სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობა;

გ) A2 – როცა არ ხდება სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერება.

26. გრაფა „მიმდინარე სტატუსი“ – ივსება სისტემის მიერ, გრაფაში „აირჩიეთ სტატუსი“ შესაბამისი სტატუსის მითითების შედეგად.

27. გრაფა „აირჩიეთ სტატუსი“ – გრაფაში ინტეგრირებული მზა მონაცემებიდან მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

ა) „აყვანილია კონტროლზე“ – შესაძლებელია სარკინიგზო ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის შემდგომი გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ბ) „უარყოფილია“ – დაუშვებელია სარკინიგზო ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის შემდგომი გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) „დროებით შეჩერებულია“ – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის გადაადგილება შეჩერებულია, ვიდრე აღნიშნულ ვაგონს/კონტეინერს მიენიჭება სტატუსი „აყვანილია კონტროლზე“ ან „უარყოფილია“;

დ) „გამოცხადებულია რკინიგზაზე“ – ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის გამოცხადება დასტურდება საბაჟო კონტროლის ზონაში განთავსებული რკინიგზის სადგურის მიერ;

ე) „გამოცხადებულია საგადასახადო ორგანოში“ – ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის გამოცხადება დასტურდება საბაჟო საწყობის ან საგადასახადო ორგანოს მიერ;

ვ) „გამოცხადებულის უარყოფა“ – ტვირთის გამოცხადების შეცდომით დადასტურების შემთხვევაში ხორციელდება გამოცხადების გაუქმება, შესაძლებელია საქონლის გამოცხადების ხელმეორედ დადასტურება;

ზ) „მოხსნილია კონტროლიდან“ – საბაჟო კონტროლი საქონლის გადაადგილებაზე დასრულებულია;

თ) „გაუქმებულია“ – უქმდება ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის შესახებ შესაბამისი ჩანაწერი.

28. გრაფა „სტატუსის თარიღი“ – ივსება სისტემის მიერ ავტომატურად და მასში მიეთითება სტატუსის მინიჭების თარიღი და დრო.

29. გრაფა „გამოცხადების ვადა“ – ივსება სისტემის მიერ გრაფის „გამოცხადების ვადის ცვლილება“ შევსების შედეგად და მიეთითება დანიშნულების საგადასახადო ორგანოში ან დანიშნულების ადგილზე გამოცხადების თარიღი.

30. გრაფა „გამოცხადების ვადის ცვლილება“ – გრაფის მეშვეობით, სისტემაში ინტეგრირებული კალენდრიდან გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ ამოირჩევა გამოცხადების თარიღი.

31. გრაფა „მებაჟე-ოფიცერი“ – ივსება სისტემის მიერ და გრაფაში მიეთითება:

ა) სტატუსის ან/და ცვლილების ავტორი მებაჟე-ოფიცრის სახელი და გვარი;

ბ) საქონლის გამოცხადების რკინიგზის მიერ დადასტურების შემთხვევაში – შესაბამისი სტატუსის მიმნიჭებელი რკინიგზის სადგურის დასახელება და კოდი;

გ) საქონლის გამოცხადების საბაჟო საწყობის მიერ დადასტურების შემთხვევაში – საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის დასახელება და კოდი.

32. გრაფა „ტერმინალის კოდი/დასახელება“ – ივსება სისტემის მიერ და მიეთითება იმ საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის კოდი და დასახელება, რომელმაც მოახდინა საქონლის გამოცხადების დადასტურება.

33. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-16 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებული გრაფების რედაქტირება.“;

ა.გ) მე-13 მუხლის 37-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„37. გრაფა 40 „წინმსწრები დოკუმენტი“ – გრაფაში აღინიშნება წინმსწრები განაცხადის, მოწმობის, რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის ან დეკლარაციის ნომერი და გაფორმების წელი.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.დ) 22-ე მუხლის 16[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16[1]. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან დეკლარანტის მოთხოვნის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტი გასცემს „ექსპერტის დასკვნა – ფორმა №1“-ს (დანართი №III-04) მხოლოდ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და ძვირფასქვიანი საიუველირო ნაკეთობების საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის შედეგებზე.“;

ა.ე) დანართი №III–04 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

ა.ვ) 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის ის საშუალებები (ნიშნები), რომლის თაობაზე საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ შეიტანება ინფორმაცია მოწმობაში ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობაში;“;

ა.ზ) 30-ე მუხლის:

ა.ზ.ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ სხვა უფლებამოსილი ორგანოს ან უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი საქონლის დათვალიერება საბაჟო გამშვებ პუნქტში არ ხორციელდება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ან ხელახალი ნიშანდება არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას საქონლის ზოგადი დეკლარირების განმახორციელებელი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შევსებულ მოწმობაში, რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობაში ან დროებითი შენახვის განაცხადში ასახული მონაცემების ფაქტობრივ მონაცემებთან შეუსაბამობის აღმოჩენისას.“;

ა.ზ.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ აღმოჩნდება, რომ სატრანსპორტო საშუალება არ არის ნიშანდებული ან დარღვეულია ნიშანდება ან იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) რეკვიზიტები განსხვავდება გადამაადგილებელი პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებული რეკვიზიტებისაგან, საგადასახადო ორგანოს მიერ ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებული საქონლის დათვალიერება; ხოლო თუ ადგილზე დათვალიერება შეუძლებელია, სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ხელახალ ნიშანდებას და მოწმობით ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით გადაადგილდება უახლოეს ან საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეულ საბაჟო ტერმინალამდე ან საბაჟო საწყობამდე ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილამდე.“;

ა.ზ.გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. დასაშვებია, ნიშანდების გარეშე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილდეს: საყარი ტვირთები, ჯართი, ცოცხალი ცხოველები, მცენარეები, სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ისეთი მსხვილგაბარიტიანი ტვირთები, რომლებიც არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას.“;

ა.თ) 32-ე მუხლის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.თ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე განხორციელებული ნიშანდების შესახებ მონაცემები დააფიქსიროს რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობაში ან ელექტრონულად შევსებულ მოწმობაში, ასევე TIR-წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – TIR-წიგნაკის საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებელ მოსახევ ფურცელსა და ყუაზე.“;

ა.თ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საქონლის დათვალიერების შედეგად საქონლის დანაკლისი არ გამოვლინდა, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ახდენს ხელახალ ნიშანდებას და აკეთებს აღნიშვნას თავის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში, ასევე TIR-წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – TIR-წიგნაკის შესაბამის მოსახევ ფურცელსა და ყუაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო გამშვებ პუნქტში შეუძლებელია საქონლის დათვალიერება, საქონლის გადამაადგილებელი სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ნიშანდებას და მოწმობით ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით გადაადგილდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეულ საბაჟო ტერმინალამდე ან საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე, სადაც განხორციელდება საქონლის დათვალიერება.“;

ა.ი) დანართი №IV–02 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

ა.კ) 35-ე მუხლის 53-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„53. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემთხვევაში, გაფორმების საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი დეკლარაციის მე-40 გრაფაში მიუთითებს მოწმობის ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის ან TIR წიგნაკის ნომერს, რომლითაც საქონელი მიეწოდება გაფორმების საგადასახადო ორგანოს, ხოლო დეკლარაციის 44-ე გრაფაში მიუთითებს მოწმობის ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის ან TIR წიგნაკის კოდს კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად.“;

ა.ლ) 52-ე მუხლის:

ა.ლ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დარღვევის ან დაულუქავი ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში (გარდა საყარი ტვირთების, ჯართის, ცოცხალი ცხოველების, მცენარეების, სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული ავტოტრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე ისეთი მსხვილგაბარიტიანი ტვირთების, რომლებიც არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას, გადაადგილების შემთხვევებისა, როდესაც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდების გარეშე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილება დასაშვებია), აგრეთვე გარეგნული დათვალიერების შედეგად საქონლის გაფუჭების, დაზიანების აშკარა ნიშნების არსებობისას, თუ საქონლის დათვალიერება საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შეუძლებელია, ხორციელდება გაფორმების ადგილამდე საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილება.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ლ.ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. თუ სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული ერთი სასაქონლო პარტიით გაგზავნილი საქონლის ერთდროულად წარდგენა ვერ ხორციელდება 1 სთ და 30 წთ-ის განმავლობაში, სასაქონლო პარტიის ყოველი წარდგენილი ნაწილის გაშვება საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ ხორციელდება მოწმობის/რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის გამოწერით. გამოწერილი მოწმობა/რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა ელექტრონულად დაიხურება და სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია ამოიბეჭდება მხოლოდ დეკლარირებული საქონლის ბოლო ნაწილის გაშვებისას.“;

ა.ლ.გ) მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია საბაჟო გამშვებ პუნქტში არ ამოიბეჭდება, საქონელი საბაჟო კონტროლის ქვეშ (რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით ან მოწმობით, გარდა TIR წიგნაკით გადაადგილებულისა) გადაადგილდება ოქროს სიის მონაწილის საწყობამდე ან მის მიერ შერჩეულ საბაჟო საწყობამდე ან გაფორმების ადგილამდე და საგადასახადო ორგანოს ნებადაურთველად არ დაიშვება სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქის ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნა;“;

ა.ლ.დ) მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია საბაჟო გამშვებ პუნქტში არ ამოიბეჭდება, საქონელი საბაჟო კონტროლის ქვეშ (რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით ან მოწმობით, გარდა TIR წიგნაკით გადაადგილებულისა) გადაადგილდება ოქროს სიის მონაწილის საწყობამდე ან მის მიერ შერჩეულ საბაჟო საწყობამდე ან გაფორმების ადგილამდე და საგადასახადო ორგანოს ნებადაურთველად არ დაიშვება სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქის ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნა;“;

ა.მ) 53-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ ივსება რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა ან გამოიწერება მოწმობა (გარდა TIR წიგნაკით გადაადგილებისა), რომლითაც ხორციელდება ოქროს სიის მონაწილის საწყობამდე ან მის მიერ შერჩეული საბაჟო საწყობის დანიშნულებით საქონლის გადაადგილება.“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №IV–02

ა ქ ტ ი

არასაგადასახადო ორგანოს მიერ იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების)

მოხსნის/მოცილების შესახებ

_____

გადასახადის გადამხდელის დასახელება ან/და სიდენტიფიკაციო ნომერი

აქტის შედგენის თარიღი „-----„ ---------- 20 წ.

აქტის შედგენის ადგილი: ----------
(საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და
შენობა-ნაგებობის ადგილსამყოფელი - მისამართი)

აქტი შეადგინა: ----------
(საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის
მფლობელის ან უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

აქტი შედგენილია მასზე, რომ: ----------
(აღინიშნოს იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/

მოცილების, შეცვლის ან ჩაბარების კონკრეტული მიზეზი)

მოწმობის, რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის, საბაჟო დეკლარაციის,
სატრანსპორტო საშუალების ნომერი №, შენობა-ნაგებობის № ----------
---

თუ იდენტიფიკაციის საშუალებების განახლების საჭიროება არსებობს, მიეთითოს აღნიშნულის

თაობაზე: ----------
განახლებული იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ გაკეთებულია აღნიშვნა: ----------
---
(მიეთითოს დოკუმენტები)

აქტი შევადგინე:
უფლებამოსილი პირის
სახელი, გვარი, ხელმოწერა ----------

ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი № III–04

თარიღი: --/--/-----

(სტრუქტურული ერთეული)

ექსპერტის დასკვნა № 001/001

---------- შესახებ

(ფორმა №1)

<table>
<tr><td colspan="2">დამნიშნავი

სახელი
გვარი

თანამდებობა</td><td>შემსრულებელი

სახელი

გვარი</td></tr>
<tr><td>წარმოდგენილი
დოკუმენტების
ან/და გამოსაკვლევი საქონლის
ჩამონათვალი</td><td>საქონლის მფლობელი</td><td>სამუშაო ადგილი და თანამდებობა;

თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანებ
ან/და შესაბამისი სერტიფიკატის ნომერი</td></tr>
<tr><td></td><td>წარმოშობის ქვეყანა</td><td></td></tr>
<tr><td>ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები</td><td colspan="2">ექსპერტიზის ჩატარების ადგილი</td></tr>
<tr><td colspan="3">განმარტება ექსპერტიზის შედეგებზე
(ექსპერტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები. არსებობის შემთხვევაში მიეთითება საქონლ
შეფასების დანართები (დანართის №, გვერდების რაოდენობა).

ექსპერტის ხელმოწერა:“.</td></tr>
</table>

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორი

დოკუმენტის კოდი ASYCUDA-ში	დოკუმენტის დასახელება
001	საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა
002	ხელშეკრულება
003	შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი)
004	სატრანსპორტო ზედნადები
005	კონოსამენტი
006	მანიფესტი
007	TIR-წიგნაკი
008	ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა, ხელშეკრულება ან მისი შემცვლელი დოკუმენტი წარმომადგენლის უფლებამოსილების შესახებ
009	დაკვირვების ელექტრონული საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია
010	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა
011	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა
012	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა
013	შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
014	რადიოაქტიური მასალების, ნედლეულის, რომლებიდანაც შესაძლებელია ბირთვული მასალის მიღება ან წარმოება, დანადგარების, რომლებიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუს იმპორტი, ექსპორტი, აგრეთვე რადიოაქტიური წყაროების ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის ნებართვა
015	„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობები მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა
016	სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
017	უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანისა და საქართველოში გადაადგილების ნებართვა
018	საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა
019	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის ნებართვა
071	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ნებართვა
072	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა
073	სამხედრო პროდუქციის იმპორტის ნებართვა
074	სამხედრო პროდუქციის ექსპორტის ნებართვა
075	სამხედრო პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა
076	უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შემენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

077	უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვა
078	შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა
020	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა
021	არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა
022	საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა
023	დსთ-ის ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლის რეექსპორტის ნებართვა (შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული)
025	შემოსავლების სამსახურის წერილობითი დასკვნა საქონლისათვის ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების შესახებ
026	შემოსავლების სამსახურის წერილობითი დასკვნა საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ
027	საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი
028	იოდირებული მარილისა და სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების შესაბამისობის სერტიფიკატი
030	ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი
031	ვეტერინარული სერტიფიკატი
032	საბაჟო ღირებულების გამარტივებული დეკლარაცია
034	იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
035	საწყობის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
036	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაც
037	შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცი
039	სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (სსაფ) – ნავთობპროდუქტების იმპორტის დროს
040	საქონლის სპეციფიკაცია
041	საბანკო გარანტია
042	ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი
043	სახელმწიფო ხაზინის ცნობა სახელმწიფო ხაზინაში გარანტიის სახით სათანადო თანხის (დეპოზიტის) შეტანის თაობაზე
045	საქონლის დროებითი შენახვის განაცხადი
046	სამკურნალო საშუალებების აღნუსხვის ფორმა
047	იმპორტის გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
049	შეფუთვის ფურცელი
050	ექსპერტიზის აქტი
051	საქონლის დათვალიერების აქტი
052	საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი)
053	ჯარიმის გადახდის დოკუმენტი
054	სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ
055	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი
056	წერილი
057	განცხადება
058	ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი
062	ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
063	გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

064	ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
165	რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია
166	თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმების სასაქონლო საბაჟო დეკლარაცი
065	ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია
067	საფოსტო გზავნილის დეკლარაცია CN 22
068	საფოსტო გზავნილის დეკლარაცია CN 23
069	გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია
070	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი
200	ავტომანქანის სახელმწიფო N
201	რკინიგზის ვაგონი, N
202	თვითმფრინავი, რეისი N
203	გემი, რეისი N
204	კონტეინერი, N
210	წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის N: A-
300	ავტომანქანის მარკა
330	მედიკამენტის დასახელება
333	სიგარეტების დასახელება და რაოდენობა, კოლოფი
340	აქციზური მარკების ნომრები
341	საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი
342	საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე საგადასახადო ორგანოს ბრძანება
345	აწონვის ქვითარი
420	საგადასახადო ორგანოს მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალება (ნიშანი)
421	დეკლარანტის (წარმომადგენლის), არასაგადასახადო ორგანოს ან სხვა პირის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალება (ნიშანი)
444	დამატებითი ინფორმაცია საქონელზე
445	წინასწარი გადაწყვეტილება
446	სასაქონლო ზედნადები
447	სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე მძღოლის სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტი
449	ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების მოწმობა განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორ საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის"დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილებით განსაზღვრული EX/II, EX/III, FL, O და AT ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვისას
450	ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის დამადატურებელი ტესტირების ბარათი
451	ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადიაქტიური ნარჩენების, აგრეთვე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა სახის სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირებისას – შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა ან ლიცენზიის/ნებართვის სათანადო წესით დამოწმებულ ასლი
452	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 271 20 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციით გათვალისწინებულ ნავთობის ბიტუმზე – ხარისხ შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

456	ექსპორტისათვის განკუთვნილ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზ საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტი
457	რეექსპორტისათვის განკუთვნილ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტი
460	გირავნობის გარიგება
461	დამგირავებლის თანხმობა დაგირავებული საქონლის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემა
462	სააღსრულებო ფურცელი
463	სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული გირავნობის მოწმობა
464	შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის ან შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი
465	ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები
466	საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნაღდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებზე ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე (რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) – წარმომავლობისა და მიზნობრიობის დამადასტურებელი დოკუმენტი
467	რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №41698

2015 **წლის** 6 **ნოემბერი**

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-2 ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბაჟო გამშვები პუნქტები

№	კოდი	დასახელება
1	69001; 99001 69110; 99110 20011	საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ (მხოლოდ თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანილ საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას)
2	69002; 99002	საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“
3	69003; 99003	საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო-საავტომობილო“
4	69004; 99004	საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო-სარკინიგზო“
5	69005; 99005	საბაჟო გამშვები პუნქტი„გუგუთი“
6	69006; 99006	საბაჟო გამშვები პუნქტი „ახკერპი“
7	69007; 99007	საბაჟო გამშვები პუნქტი „სამთაწყარო“
8	69009; 99009	საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბანი“
9	69021; 99021	საბაჟო გამშვები პუნქტი „მტკვარი“
10	69010; 99010	საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდეხი“
11	69101; 99101	საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“
12	69301; 99301	საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალე“
13	69302; 99302	საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

14	69401; 99401 69403; 99403 69404; 99404 20013	საბაჟო გამშვები პუნქტი „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“ ქ. ქუთაისი, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორია, ავტომშენებლის ქ. №88 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის)
15	69501; 99501 69502 69503	საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
16	69601; 99601	საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“
17	69604; 99604	საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტი“
18	69603; 99603 20012	საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის აეროპორტი“ საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის აეროპორტი“ (მხოლოდ ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანილ საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას)
19	69309; 99309	საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახის სამშენებლო ზონა“
20	69320; 99320	საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახი“ “.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი
გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №41802

2015 **წლის** 6 **ნოემბერი**

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12):

ა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“;“;

ბ) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფუნქციებთან ერთად, ახორციელებს:

ა) თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შესატანი ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან გასატანი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას და საბაჟო კონტროლს;

ბ) თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შესატანი ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან გასატანი საქონლის გაფორმებას.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი
გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №326

2015 წლის 16 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 04 აგვისტოს №248 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 04 აგვისტოს №248 ბრძანების (სსმ, ვებგვერდი, 200090000.22.033.016787, 07.08.2015წ.) მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. 1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან. 2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტები და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2015 წლის 20 ოქტომბრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №339

2015 წლის 22 ოქტომბერი, ქ. თბილისი

,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03.01.2011წ., 2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, გამოცემულ წინასწარ გადაწყვეტილებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია გადაწყვეტილებაში აღნიშნულ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე.“.

2. 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის, №I-20 დანართის შესაბამის, ელექტრონულ ბარათზე (შემდეგში – ბარათი) აისახება გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარირებული და გადახდილი თანხები, აგრეთვე საგადასახადო და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელად დარიცხული ან შემცირებული თანხები, ზედმეტად გადახდილი, უკან დაბრუნებული ან სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშებში გადატანილი თანხები, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებები, საგადასახადო სანქციები (ჯარიმები და საურავები), ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები, საქონლის დეკლარირების განხორციელების დროს გადახდილი ექსპორტის და იმპორტის გადასახდელი თანხები.“.

3. 22-ე მუხლის:

ა) მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო და საბაჟო დეკლარაციები (გაანგარიშებები), მათ შორის, დაზუსტებული დეკლარაციები;“;

ბ) მე-12 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ო) საგადასახადო ორგანოსათვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია, მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის მიზნებისათვის.“.

4. 57-ე მუხლის მე-2 - მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნსაფ-ი არის მკაცრი აღრიცხვის და საგანგებო დაცვის ნიშნის მქონე დოკუმენტი (გარდა ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისა), აქვს ორი ასოსგან შემდგარი სერია (გარდა კომპიუტერული ნსაფ- ისა) და ინდივიდუალური ნომერი. ნსაფ-ის სერია არის: იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ან ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ან პირის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის შიდა გადაზიდვისათვის ან ,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, საქონლის განკარგვისას (რეალიზაცია, პრივატიზება), შემძენის მიერ შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას – „აშ“, ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისთვის – „ეშ“, საბითუმო მიწოდებაზე – „ ას“, ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისთვის – „ეს“, საცალო მიწოდებაზე – „ აა“, ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისთვის – „ეა”.

3. კომპიუტერულ ნსაფ-ს აქვს სამი ასოსგან შემდგარი სერია და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი. კომპიუტერული ნსაფ-ის სერია არის: იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ან ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ან პირის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის შიდა გადაზიდვისათვის ან ,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, საქონლის განკარგვისას (რეალიზაცია, პრივატიზება), შემძენის მიერ შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას - „კაშ“, საბითუმო მიწოდებაზე - „კას“, საცალო მიწოდებაზე - „კაა“.“.

5. 58-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ნსაფ-ის მე-10 სტრიქონი ივსება მხოლოდ იმპორტის შემთხვევაში და მიეთითება საბაჟო დეკლარაციის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი, ხოლო სხვა შემთხვევებში „–“.“;

ბ) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„18. ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე ტრანსპორტირებისას ნსაფ-ი არ მოითხოვება. ამ შემთხვევაში, ტრანსპორტირების დოკუმენტად ითვლება საბაჟო დეკლარაცია.“;

გ) მე-19 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. მე-60 მუხლის:

ა) მე-7 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.გ) ნედლეულის შეძენის ნსაფ-ი, ხოლო იმ ნედლეულზე, რომელზედაც სავალდებულო არ არის ნსაფ- ის გამოწერა – საბაჟო დეკლარაცია ან პირველადი საგადასახადო დოკუმენტები;“;

ბ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. გადასახადის გადამხდელზე „აშ“ სერიის ნსაფ-ის გაცემისას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე, ან ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის, საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ ივსება ნსაფ-ის მე-5 (5.1 და 5.2), ცხრილის პირველი და მე-2, მე-14, მე-15, მე-16, მე-17 სტრიქონები, ხოლო მე-4 (4.1 და 4.2), მე-11, მე-12 სტრიქონებზე მიეთითება „ –“, დანარჩენი სტრიქონები კი ივსება დამოუკიდებლად. ნსაფ-ის შევსების ანალოგიური წესი გამოიყენება ექსპორტის შემთხვევაშიც იმ განსხვავებით, რომ საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ ივსება ნსაფ-ის მე-4 (4.1 და 4.2), ცხრილის პირველი და მე-2 სტრიქონები, ხოლო მე-5 (5.1 და 5.2) სტრიქონზე მიეთითება „–“.“;

7. დანართი №III-13 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8. 65-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. გაანგარიშების მე-3 სტრიქონზე მიეთითება იმპორტის საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისათვის გაანგარიშების წარმოდგენისას.“;

9. დანართი №III-19 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

10. 69-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ) საბაჟო დეკლარაცია ან საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მისი შემცვლელი დოკუმენტი ან მათი ასლი, ან საქონლის და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა ან მისი ასლი, რომლებიც ადასტურებენ ტვირთის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“, „გ1“ და „გ2“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ სასაქონლო ოპერაციებში მოქცევის დროსა და ადგილს;“.

11. 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საბაჟო დეკლარაციაზე;“.

12. დანართი №III-25-ის დანართი „ბ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13. IV-01 დანართის განაყოფი IV ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

14. 77-ე მუხლის:

ა) 101 პუნქტის:

ა.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შესაბამის საანგარიშო პერიოდში იმპორტირებული საქონლის (მისართი გამხსნელი, ანტიდეტონატორი) საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის თარიღი, სერია და ნომერი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდი, საქონლის რაოდენობა კილოგრამებში;“;

ა.ბ) შენიშვნის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) დეკლარაციის IV განაყოფში წინა საანგარიშო პერიოდის ნაშთი აისახება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის თარიღისა და სერიისა და ნომრის მითითების გარეშე. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდის ნაშთის მითითებისას მონაცემები საქონლის რაოდენობის შესახებ შეიტანება ჯამურად სეს ესნ კოდის მიხედვით.“;

ბ) მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მე-7-მე-8 სვეტებში – საწარმოო რესურსების ნაშთი საანგარიშო თვის დასაწყისისათვის თითოეული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და საბაჟო დეკლარაციის მიხედვით; ამასთან, დასავარგებლად გაცხადებულ საქონელზე მე-8 სტრიქონი არ ივსება;“.

15. №IV-8, №IV-9 და №IV-10 დანართები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი, მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-7 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

დანართი №III-13

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

საიდენტიფიკაციო ნომერი

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

საიმპორტო (საექსპორტო) ნავთობპროდუქტების
შიდა გადაზიდვის ნსაფ-ების მიღებაზე

გთხოვთ, ჩვენს სახელზე გასცეთ აშ სერიის:

– – ცალი ნსაფ-ი იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის

– – ცალი ნსაფ-ი ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის

გადაწყვეტილების მიღებისათვის წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:
(თითო უჯრა ივსება გასაცემი თითოეული ნსაფ-ის შესაბამისად):

№	საქონლის დასახელება და კოდი	საქონლის რაოდენობა კგ-ში	სასაქონლო ოპერაციის განხორციელებ ს საგადასახადო ორგანოს დასახელება	ტრანსპორ ტირების დაწყების ადგილის მისამართი	ტრანსპორტირების დამთავრების ადგილის მისამართი	დასაწყობების ადგილის რეგისტრაციის ნომერი	შენიშვნა
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

(თარიღი)“.“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №III-19

უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშება

20 . . წ. . . . . თვის

1. _____
საგადასახადო აგენტის/კრედიტორის/დეკლარანტის დასახელება

2. საიდენტიფიკაციო ნომერი _____

3. იმპორტის საბაჟო დეკლარაციის

№

თარიღი.“.

უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ

I ნაწილი

ივსება საგადასახადო აგენტის მიერ, რომელიც ახორციელებს არარეზიდენტი იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ გაწეული მომსახურების უკუდაბეგვრას

№	არარეზიდენტის დასახელება	გაწეული მომსახურების სახე	ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი	მომსახურე-ბის გაწევის მომენტი	მომსახურებისათვის გასაცემი საკომპენსაციო თანხა დღგ-ის გარეშე	დღგ
1	2	3	4	5	6	7
3	ჯამი					

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

II ნაწილი

4	დღგ კორექტირებამდე	
5	დღგ კორექტირების შემდეგ	
6	კორექტირების შედეგად დამატებით გადასახდელი დღგ (სტ.5-სტ.4, როცა სტ.5> სტ.4)	
7	კორექტირების შედეგად შესამცირებელი დღგ (სტ.4 - სტ.5, როცა სტ.4 > სტ.5)	
8	ბიუჯეტში შესატანი დღგ (სტ.3 + სტ.6) ან (სტ.3 - სტ.7, როცა სტ.3 > სტ.7)	
9	ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ (სტ.7 – სტ.3, როცა სტ.7 > სტ.3)	

III ნაწილი

ივსება კრედიტორის მიერ, რომელსაც პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საკუთრებაში გადაეცემა მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანი (საქონელი)

№	მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანი (საქონელი)	ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი	მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) საკუთრებაში გადაცემის მომენტი	მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) ფასი დღგ–ის გარეშე	დღგ
1	2	3	4	5	6
3	ჯამი				

IV ნაწილი

4	დღგ კორექტირებამდე	
5	დღგ კორექტირების შემდეგ	
6	კორექტირების შედეგად დამატებით გადასახდელი დღგ (სტ.5-სტ.4, როცა სტ.5> სტ.4)	
7	კორექტირების შედეგად შესამცირებელი დღგ (სტ.4 - სტ.5, როცა სტ.4 > სტ.5)	
8	ბიუჯეტში შესატანი დღგ (სტ.3 + სტ.6) ან (სტ.3 - სტ.7, როცა სტ.3 > სტ.7)	
9	ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ (სტ.7 – სტ.3, როცა სტ.7 > სტ.3)	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

V ნაწილი

ივსება პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტს

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	საწყობში საქონლის შესყიდვის ღირებულება	საქონლის იმპორტის თანხა	გადასახდელი დღგ (სვ.5-სვ.6)X18% ან სვ.5X18%	ბიუჯეტის შემოსულო ბების სახაზინო
1	2	3	4	5	6	7	8
3	ჯამი						

შენიშვნა: 1. თუ საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული, სვეტი 7-ში მიეთითება დღგ-ის თანხა შემდეგი ფორმულის გამოყენებით - (სვ.5-სვ.6)X18%.

2. თუ საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო მიწოდება არ არის გათავისუფლებული, სვეტი 6 არ ივსება, ხოლო სვეტი 7-ში მიეთითება დღგ-ის თანხა შემდეგი ფორმულის გამოყენებით - სვ.5X18%.

VI ნაწილი

4	დღგ კორექტირებამდე	
5	დღგ კორექტირების შემდეგ	
6	კორექტირების შედეგად დამატებით გადასახდელი დღგ (სტ.5-სტ.4, როცა სტ.5> სტ.4)	
7	კორექტირების შედეგად შესამცირებელი დღგ (სტ.4 - სტ.5, როცა სტ.4 > სტ.5)	
8	ბიუჯეტში შესატანი დღგ (სტ.3 + სტ.6) ან (სტ.3 - სტ.7, როცა სტ.3 > სტ.7)	
9	ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ (სტ.7 – სტ.3, როცა სტ.7 > სტ.3)	

გაანგარიშების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

_____

საგადასახადო აგენტი (ხელმძღვანელი)/კრედიტორი/დეკლარანტი

უფლებამოსილი პირი_____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) ივსება საგადასახადო

ორგანოს მიერ

აღნიშვნა გაანგარიშების წარმოდგენის შესახებ: ელექტრონულად — — ფოსტით — — ხელზე — –

წარმოდგენის თარიღი — — — — — — — — — — —

რეგისტრაციის ნომერი — — — — — — — — — — —

_____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა);“.“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი „ბ“

ნაწილი I

№	დასაბეგრ ოპერაციებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის,							
	სერია	ნომერი	დასაბეგრი ოპერაციის განხორციელ ების თვე	მყიდველ-ის /მიმღების ს/ნ	დღგ-ის თანხა		ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც წარმოებს	
					გადასახდელი (მათ შორის, კორექტირების შედეგად დამატებით გადასახდელი)	კორექტირებ ის შედეგად შესამცირებე ლი	სერია	ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ნაწილი II

№	შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის,							
	სერია	ნომერი	დასაბეგრი ოპერაციის განხორციელ-ბის თვე	მომწოებ ლის ს/ნ	დღგ-ის თანხა		ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც წარმოებს	
					ჩასათვლელი, მათ შორის, კორექტირებ ის შედეგად დამატებით ჩასათვლელი	კორექტირების შედეგად შესამცირებელი	სერია	ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ნაწილი III

№	საქონლის იმპორტზე (მათ შორის, დროებით შემოტანაზე) გამოწერილი საბაჟო დეკლარაციები		
	შეფასების ნომერი	შეფასების თარიღი	დღგ-ის თანხა
1	2	3	4

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ საწარმოს ხელმძღვანელი / ინდ.მეწარმე ---------- ---- ---- --- --- --- --- ---- ---- ---- ----
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) თარიღი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„**განაყოფი** IV. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-10 სტრიქონით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის (მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი) აღრიცხვა

N	საბაჟო დეკლარაცია				გამოყენებული საქონლის რაოდენობა		საქონლის ნაშთი თვის ბოლოსათვის (კგ)
	რეგისტრაციის თარიღი	სერია და ნომერი	სესესნ კოდი	საქონლის რაოდენობა (კგ)	სულ	მათ შორის: აქციზური საქონლის წარმოებისათვის	

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

საწარმოს ხელმძღვანელი/ინდივიდუალური მეწარმე

--- --- ---

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი);“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №IV-08

ანგარიშგება საერთაშორისო საზღვაო რეისებზე ბორტზე მიწოდებული საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის შესახებ

№	თარი-ღი	გემის დასახელე-ბა, გემის ტიპი	რეისის №	მარშრუტი	განაცხა-დის თარიღი	საქონლის დასახელება სეს ესნ-ის შესაბამი-სად	საქონლის რაოდენო-ბა (კგ)	საქონლის რაოდენობა (დამატები-თი ზომის ერთეულის მიხედვით სეს ესნ-ის შესაბამის-ად)	საქონლი სატარიფ ღირებუ ლება

შემოტანილი საქონლის საერთო რაოდენობა	
შემოტანილი საქონლის მთლიანი სატარიფო ღირებულება	
ბორტზე მიწოდებული საქონლის რაოდენობა	

ბორტზე მიწოდებული საქონლის სატარიფო ღირებულება

საბაჟო დეკლარაციის №	
საბანკო გარანტიის №	

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და თარიღი .....“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №IV-09

ანგარიშგება საერთაშორისო საავიაციო რეისებზე ბორტზე მიწოდებული საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის შესახებ

№	თარიღი	ავიაკომპანიის დასახელება, თვითმფრინავის ტიპი	რეისის №	მარშრუტი	განაცხადის თარიღი	საქონლის დასახელება სეს ესნ-ის შესაბამისად	საქონლის რაოდენობა (კგ)	საქონლის რაოდენობა (დამატებითი ზომის ერთეულის მიხედვით სეს ესნ-ის შესაბამისად)	საქონლის სატარიფო ღირებულება

შემოტანილი საქონლის საერთო რაოდენობა	
შემოტანილი საქონლის მთლიანი სატარიფო ღირებულება	
ბორტზე მიწოდებული საქონლის რაოდენობა	
ბორტზე მიწოდებული საქონლის სატარიფო ღირებულება	

საბაჟო დეკლარაციის №	
საბანკო გარანტიის №	

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და თარიღი
.....“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №IV-10

შემოსავლების სამსახურს _____

განცხადება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-10 სტრიქონით გათვალისწინებულ იმპორტირებულ საქონელზე გადახდილი აქციზის პირადი აღრიცხვის ბარათზე ზედმეტად გადახდილ თანხად აღრიცხვის შესახებ

1. გადასახადის გადამხდელის დასახელება, იურიდიული მისამართი:
_____

2. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი:

	საბაჟო დეკლარაცია				გამოყენებული		საქონლის ნაშთი განაცხადის წარდგენის დროისათვის		მოთხოვნილი აქციზის თანხა
	რეგისტრაციის თარიღი	სერია და ნომერი	სეს ესნ კოდი	საქონლის რაოდენობა საბაჟო დეკლარაციის მიხედვით	სულ	მათ შორის: აქციზური საქონლის წარმოებისათვის	თვე და წელი	რაოდენობა	

საწარმოს ხელმძღვანელი/ინდ.მეწარმე
_____
(ხელმოწერა)“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris ganmarteba

შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 113-ე მუხლზე

მუხლი 113. არამატერიალურ აქტივებზე საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვა

1. არამატერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, 1000 ლარამდე ღირებულების არამატერიალური აქტივი მთლიანად გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც შესაბამისი ხარჯი იქნა გაწეული.

ანალიზი:

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება სავაჭრო ნიშანი, საავტორო უფლება, პატენტი, ფრანჩიზი, ლიცენზია, ექსპორტისა და იმპორტის სპეციალური უფლებები, საბადოების დამუშავების უფლება და სხვა.

- ძირითადი საშუალებების ანალოგიურად, ამორტიზაციის დარიცხვას ექვემდებარება არამატერიალური აქტივებიც. არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი („100 %-იანი ცვეთა") ნორმა და მასზე დანახარჯი გამოიქვითება 111-ე მუხლის შესაბამისად.

- არამატერიალური აქტივები შეიძლება დავყოთ 2 ჯგუფად:

1. აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია და

2. აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა შეუძლებელია.

არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო ვადის გამოყენება განსაზღვრულია, გამოიყენება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №26):

გადასახადის გადამხდელმა 2012 წლის პირველ იანვარს შეიძინა სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლება 50000 ლარად 5 წლის ვადით.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ვინაიდან აღნიშნული არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განსაზღვრულია და არის 5 წელი, გადამხდელმა მასზე საამორტიზაციო ანარიცხები უნდა გაიანგარიშოს საანგარიშო პერიოდების პროპორციულად. ანუ ყოველწლიურად ერთობლივი შემოსავლიდან უნდა გამოქვითოს 10 000 ლარი. მიუხედავად იმისა, შესძლო თუ არა პირმა შესაბამის წელს მისი ფაქტობრივი გამოყენება.

2. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 პროცენტს.

ანალიზი:

ისეთ არამატერიალურ აქტივს, რომლის სასარგებლოს გამოყენების ვადა დაუდგენელია ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 %-ს.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №27):

გადასახადის გადამხდელმა 2012 წლის 1 იანვარს 50 000 ლარად შეიძინა (უვადოდ) სავაჭრო ნიშანი.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

გადასახადის გადამხდელმა შეძენილი არამატერიალური აქტივი უნდა ასახოს ცალკე ჯგუფში და საანგარიშო წელს დაარიცხოს ამორტიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-5 ჯგუფით განსაზღვრული საამორტიზაციო ნორმის მიხედვით 7 500 ლარი (50 000X 15%).

3. არამატერიალური აქტივები ცალკე ჯგუფად აღირიცხება.

ანალიზი:

შენობებსა და ნაგებობებს ანალოგიურად, ამორტიზაცია თითოეულ არამატერიალურ აქტივს დაერიცხება ინდივიდუალურად. შესაბამისად, თითოეული არამატერიალური აქტივი ცალკე ჯგუფად განიხილება. აღნიშნულით არამატერიალური აქტივისათვის შენარჩუნებულია ინდივიდუალური ღირებულება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. ამორტიზაციას დაქვემდებარებული არამატერიალური აქტივების ღირებულებაში არ შეიტანება მათი შეძენის ან წარმოების ხარჯები, თუ ისინი უკვე გამოქვითული იყო გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) გამოანგარიშებისას.

ანალიზი:

სამეურნეო საქმიანობაში არსებობს ხარჯები არამატერიალურ ობიექტებზე, რომელთა შედეგად არამატერიალური აქტივი შეიძლება წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას. ასეთია, მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარჯები. ამდენად, თუ ეს ხარჯები გამოქვითული იყო გასულ საგადასახადო პერიოდებში გადასახადის გადამხდელის ერთობლივი შემოსავლიდან, მიმდინარე წელს წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულებაში ისინი აღარ შეიტანება.

შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის მე-6 ნაწილზე

გრძელვადიანი კონტრაქტი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად:

,,გრძელვადიანი კონტრაქტის შემთხვევაში, თუ არ დადგა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობა:

ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა კალენდარული წლისათვის განისაზღვრება ფაქტობრივი შესრულების მოცულობის მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით;

ბ) დასაბეგრი ოპერაციის მომენტად ითვლება არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბერი".

ანალიზი:

შესაძლებელია გრძელვადიანი კონტრაქტის მონაწილე სუბიექტებმა მომსახურების გაწევა დაუკავშირონ არა კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისას მიღებულ მომსახურებას, არამედ ცალკეულ ეტაპებს, რომლის დროსაც აგრეთვე ხორციელდება მომსახურების მიღება. ამ დროს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ცალკეულ ეტაპზე მიღებული მომსახურების საკომპენსაციო თანხით.

გრძელვადიანი კონტრაქტისას, თუ მისი მოქმედების პერიოდში ადგილი არ აქვს მომსახურების გაწევის ფაქტს, დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ფაქტობრივი შესრულების მოცულობის მიხედვით და დასაბეგრი ოპერაციის მომენტი არის არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბერი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფაქტობრივი გარემოება IV : 2010 წლის 14 ივნისს დამკვეთმა საწარმო X–მა მშენებელთან – საწარმო Y-თან გააფორმა სამშენებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება სამი წლის ვადით.

ხელშეკრულება ითვალისწინებს 10-სართულიანი საოფისე ნაგებობის მშენებლობას. მომსახურების მთლიანი ღირებულებაა 10 000 000 ლარი.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საოფისე ნაგებობის თითოეული სართულის მშენებლობის დასრულების შემდეგ დამკვეთის მიერ ხორციელდება დასრულებული საოფისე ნაგებობის სართულის ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების (1 000 000 ლარი) გადახდა.

შედეგი: *მოცემულ პირობებში, უნდა ჩაითვალოს, რომ ცალკეული ეტაპის, კერძოდ, საოფისე ნაგებობის თითოეული სართულის მშენებლობის დასრულების შემდეგ, საწარმო X-ისთვის მომსახურება გაწეულია და დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის მომენტს წარმოადგენს საოფისე ნაგებობის თითოეული სართულის მშენებლობის დასრულების მომენტი, მიუხედავად იმისა, დამკვეთი განაცხადებს თუ არა თანხმობას დასრულებული საოფისე ნაგებობის სართულის ჩაბარებაზე.*

ფაქტობრივი გარემოება V: 2010 წლის 15 თებერვალს დამკვეთმა საწარმო X-მა მშენებელთან – საწარმო Y-თან გააფორმა სამშენებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება სამი წლის ვადით.

ხელშეკრულება ითვალისწინებს 10-სართულიანი საოფისე ნაგებობის მშენებლობას. მომსახურების მთლიანი ღირებულებაა 10 000 000 ლარი.

2010 წელს მშენებელმა განახორციელა სამშენებლო სამუშაოები, რაზეც გასწია ხარჯი 1 000 000 ლარი, ხოლო საგეგმო პარამეტრებით მშენებლობის მთლიანი ხარჯი წარმოადგენს 8 000 000 ლარს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საოფისე ნაგებობის მთლიანად დასრულების შემდეგ დამკვეთი ჩაიბარებდა ნაგებობას.

შედეგი: *ასეთ შემთხვევაში, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის მომენტად ითვლება 2010 წლის 31 დეკემბერი, შესაბამისად, თუ საწარმო Y-მა მთლიანი ხარჯის (8 000 000 ლარი) 1/8 (1 000 000 ლარი) გასწია 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი მისაღები თანხის (10 000 000 ლარი) სწორედ 1/8 წარმოადგენს ზემოთ მითითებულ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თანხას და ეს თანხა არის* 1 000 000/8 000 000*10 000 000=1 250 000 ლარი.

ფაქტობრივი გარემოება VI: ფაქტობრივი გარემოებები იგივეა, რაც ზემოთ მითითებულ მაგალითში, ამასთან, საგეგმო პარამეტრებით გათვალისწინებულმა ხარჯმა განიცადა კორექტირება და ნაცვლად 8 000 000 ლარისა შეადგინა 9 000 000 ლარი.

შედეგი: *ასეთ შემთხვევაში საწარმო X დააზუსტებს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხას და აღნიშნული თანხა იქნება 1 000 000/9 000 000*10 000 000=1 111111.11 ლარი.*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

es sainteresoa

წარმატების 10 წესი ენდრიუ კარნეგისგან



ენდრიუ კარნეგი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1848 წელს ჩავიდა და ჯიბეში დოლარი ძლივს ჰქონდა. 1901 წელს კი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი იყო. მისი დიდებიდან გამომდინარე, მასთან ახალგაზრდა ჟურნალისტი ნაპოლეონ ჰილი მივიდა, რომელიც წარმატებული ადამიანებზე წერდა.

კარნეგიმ ჰილში რაღაც განსაკუთრებული დაინახა და 1908 წელს გადაწყვიტა ჰილის დოკუმენტებად უნდა ექცია ყველა ის სტრატეგია, რამაც კარნეგი ლეგენდარულ ბიზნესმენად და ფილანტროფისტად აქცია.

ისინი ერთად მუშაობდნენ და გზა გაუკაფეს „თვითდახმარების“ ჟანრს. 1937 წელს გამოვიდა ჰილის წიგნი: „იფიქრე და გახდი მდიდარი“, რომელიც ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვად წიგნად იქცა.

როცა ჰილი წარმატებაზე წერით იწყებდა კარიერას, კარნეგიმ მას „წარმატების 10 წესი“ მისცა, რომელიც საფუძველად დაედო ჰილის შრომას. გთავაზობთ სწორედ ამ წესების ჩამონათვალს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. განსაზღვრეთ თქვენი მიზანი.
შექმენით მოქმედების გეგმა და დაუყონებლივ დაიწყეთ მის განსახორციელებლად მუშაობა.

2. შექმენით „მასტერების ალიანსი“
იკონტაქტეთ და იმუშავეთ ადამიანებთან, რომელთაც „აქვთ ის, რაც არ გაქვთ თქვენ“.

3. „გაიარეთ ზედმეტი“
გააკეთეთ მეტი, ვიდრე უნდა გაგეკეთებინათ. ესაა ერთადერთი, რაც აძლევს სტიმულს და სხვებს „თქვენს ვალში ამყოფებს“.

4. გქონდეთ საკუთარი თავის რწმენა
გჯეროდეთ საკუთარი თავის და თქვენი მიზნების, იმოქმედეთ, როგორც სრულიად თავდაჯერებულმა ადამიანმა.

5. გქონდეთ თქვენი ინიციატივები
გააკეთეთ ყველაფერი სხვისი თქმის გარეშე.

6. მიჰყევით თქვენს წარმოსახვას
გარისკეთ და იფიქრეთ რა არის იმის უკან, რაც უკვე გაკეთებულია.

7. მოიკრიბეთ ძალ-ღონე
ენთუზიაზმი და პოზიტიური დამოკიდებულება წარმატებამდე მიგიყვანთ და სხვების პატივისცემასაც დაიმსახურებთ.

8. იფიქრეთ სწორად
ჰილის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორად ფიქრი არის შესაძლებლობა, რომ გამიჯნოთ ფაქტები შეთხზულისგან და გამოიყენოთ შესაფერისად პრობლემებსა თუ ურთიერთობებში.

9. იყავით კონცენტრირებულები
ნუ იქნებით დაბნეულები და ყურადღებით მოეკიდეთ იმ საქმეს, რომელსაც აკეთებთ.

10. მიიღეთ სარგებელი არახელსაყრელი ვითარებიდანაც
დაიმახსოვრეთ, რომ ყველა უკუსვლიდან მისი შესაბამისი სარგებელიც არსებობს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Jurnali ~gadasaxadebis~ redaqcia

gTavazobT

konsultaciebs sagadasaxado, buRaltruli aRricxvisa da sabuRaltro programa ~oris-buRalteria~-sTan dakavSirebul sakiTxebze.

konsultaciebi Catardeba winaswar SeTanxmebul droSi.

Cveni sakontaqto telefonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77

valutis kursi

	aSS dolari	2.4081	+	0.0080
	evro	2.5759	+	0.0143
	girvanqa sterlingi	3.6764	+	0.0213

buRaltruli aRricxvisa da sabuRaltro programa
`oris-buRalteria~ SemswavlelTa

sayuradRebod

Jurnali `gadasaxadebis~ redaqcia gTavazobT buRaltruli aRricxvisa da sabuRaltro programa `oris-buRalteria~ Seswavlis daCqarebul kurss. calkeuli jgufebis dakompleqteba moxdeba msmenelTa Sesabamisi doneebis gaTvaliswinebiT.

saswavlo process warmarTaven am dargis cnobili specialistebi.

msmenelTa miReba dawyebulia. mecadineobebi Catardeba TqvenTvis sasurvel droSi da pirobebSi.

Cveni sakontaqto telefonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com